დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება #14, 22/04/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი

თბილისი
2024

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიულ დოკუმენტებით დადგენილი წესით.
1.2. წინამდებარე დებულება ადგენს სტუდენტთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ წარმოების წესებს.

მუხლი 2. ქცევის ზოგადი წესები
2.1. უნივერსიტეტის სტუდენტები ვალდებულები არიან:
2.1.1. დაიცვან უნივერსიტეტის წესები, პერსონალთან და სტუდენტებთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები, უნივერსიტეტში შესვლისა და გასვლის წესი;
2.1.2. დაიცვან უნივერსიტეტის მიერ გაცემული მითითება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო წესრიგის შენარჩუნებასთან;
2.2. წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, დაცვის სამსახური უფლებამოსილია დამრღვევის მიმართ მიიღოს შესაბამისი ზომები, თუ ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.

მუხლი 3. დისციპლინური სახდელი
3.1. უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი დისციპლინური სახდელები:
3.1.1. გაფრთხილება: სტუდენტი იღებს ზეპირ ან/და წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ფორმით) გაფრთხილებას მის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ.
3.1.2. საყვედური: სტუდენტი იღებს საყვედურს წერილობითი ფორმით. საყვედურის ასლი ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
3.1.3. კომპენსაცია: უნივერსიტეტის ქონების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი დაზიანებული/განადგურებული/დაკარგული ქონების სანაცვლოდ იხდის ფულად თანხას.
3.1.4. ჯარიმა: უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ფულადი თანხა, რომელსაც სტუდენტი იხდის უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
3.1.5. შეზღუდვა: სტუდენტის უფლების შეზღუდვა მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, თუ მისი ქმედება საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
3.1.6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა: სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვნად არღვევს უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტაციით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
3.1.7. დისციპლინური სახდელის განსხვავებული სახეები ასევე განისაზღვრება ეთიკის კოდექსით.

მუხლი 4. ჯარიმა
4.1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არამწეველთა სივრცეში თამბაქოს მოხმარება გამოიწვევს სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის, ჯარიმის სახით 200 (ორასი) ლარის დაკისრების საფუძველს.

მუხლი 5. დისციპლინური წარმოების პრინციპები

5.1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით და საქართველოსა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.2. დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური დევნის საფუძველია უნდა გამოიკვლიოს სკოლის საბჭომ.

მუხლი 6. დისციპლინური სახდელის განსაზღვრის კრიტერიუმები

6.1. დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

6.1.1. ქმედების სიმძიმე/ხარისხი;

6.1.2. ქმედების ჩადენის მომენტში სტუდენტის განზრახვა;

6.1.3. დისციპლინური გადაცდომის განმეორებითი ჩადენის ფაქტის არსებობა;

6.1.4. სტუდენტის ზოგადი დახასიათება (პიროვნული, აკადემიური);

6.1.5. სტუდენტის მიერ გამოთქმული პოზიცია დისციპლინური გადაცდომის თაობაზე.

მუხლი 7. დისციპლინურ წარმოებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო

7.1. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრა შეუძლია როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს და ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს.

7.2. ამ მუხლის 7.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის თაობაზე ხორციელდება მიმართვა შესაბამისი სკოლის საბჭოს წინაშე, რომელიც წინამდებარე დებულების მიზნებისათვის წარმოადგენს დისციპლინურ კომისიას.

7.3. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია სტუდენტს შეუფარდოს დისციპლინური სახდელი წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით და ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს პრორექტორს სასწავლო დარგში და რექტორს.

7.4. სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის სახით, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლის საბჭოს დასკვნის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 8. სტუდენტის უფლებები დისციპლინური დევნის პროცესში

8.1. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

8.1.1. წერილობითი ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;

8.1.2. დაესწროს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

8.1.3. მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

8.1.4. მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური კომისიის მიერ მტკიცებულებების გამოკვლევაში;

8.1.5. მოითხოვოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის სხდომაზე განხილვა.

8.2. დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე სტუდენტს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით. შეტყობინების ასლი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებაში სტუდენტის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირს (არსებობის შემთხვევაში).
8.3. სტუდენტისათვის გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინება) მომსმენის დროისა და ადგილის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას ამ მუხლის 8.4 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების შესახებ.
8.4. მოსმენაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა (გარდა 8.5 პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა) არ შეაჩერებს საქმის განხილვას. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ სტუდენტმა გამოიყენა დაცვის უფლება და გადაწყვეტილების მიღება მოხდება მოკვლევის მასალებსა და მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით.
8.5. თუ მოსმენაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა განპირობებულია საპატიო მიზეზით (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტს ადგენს დისციპლინური კომისია) სტუდენტი უფლებამოსილია მისი პოზიცია წარადგინოს წერილობითი ფორმით ან განცხადებით მიმართოს დისციპლინურ კომისიას მოსმენის გადატანის შესახებ.
8.6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 9. მოკვლევის ეტაპი

9.1. მოკვლევა წარმოადგენს დისციპლინური დევნის საწყის ეტაპს, რომელსაც ახორციელებს დისციპლინური კომისიის მიერ განსაზღვრული პირი ან თავად კომისია, მის წინაშე წარდგენილი მასალების საფუძველზე.
9.2. მოკვლევა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც საჭიროა დისციპლინური დევნის სრულყოფილი წარმართვისათვის (მათ შორის მოწმეთა დაკითხვა, შემთხვევის ადგილის შემოწმება, მტკიცებულებების მოპოვება (მათ შორის ვიდეომასალას) და საჭიროების შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის მიღება).
9.3. დისციპლინური დევნის პროცესში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია აისახება დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებაში.
9.4. უნივერსიტეტის პერსონალი (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული) ვალდებულია მომკვლევს მიაწოდოს მის ხელთ არსებული საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მოკვლევის პროცესს.
9.5. დისციპლინური წარმოების პროცესში გამოყენებული მტკიცებულებები უნდა იყოს ლეგიტიმური.

მუხლი 10. დისციპლინური კომისიის სხდომის წარმართვის პროცედურული წესები

10.1. დისციპლინური კომისია იკრიბება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ დროსა და ადგილას.
10.2. დისციპლინური კომისიის მდივანი ახდენს შეხვედრისათვის საჭირო საკითხების ორგანიზებას და კომისიის წევრების ინფორმირებას სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.
10.3. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
10.4. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით. წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს საკითხის მომხრედ ან წინააღმდეგ. წევრს არ აქვს უფლება შეიკავოს თავი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარ რაოდენობად გაყოფის შემთხვევაში

გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 11. მოსმენის პროცედურა

11.1. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს მოკვლევის მასალების შესწავლის მიზნით, საჯარო მოსმენის გარეშე. მოკვლევის მასალების შესწავლის შემდეგ ტარდება მოსმენის პროცედურა.

11.2. მოსმენის ფორმა შეიძლება იყოს როგორც საჯარო ისე დახურული. მოსმენის ფორმის შესახებ საკითხს წყვეტს, დისციპლინური კომისია.

11.3. მოსმენაზე ხდება მოკვლეული მასალების წარდგენა და სტუდენტის მიერ მისი პოზიციის დაფიქსირება. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებულ საკითხზე განმარტება მიიღოს სხვა პირებისაგანაც, დასვას შეკითხვები, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

11.4. მოკვლევის მასალებისა და მოსმენაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ. რის თაობაზეც ეცნობება პრორექტორს სასწავლო დარგში.

მუხლი 12. დისციპლინური წარმოების ვადები

12.1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოება უნდა დაიწყოს და დასრულდეს დარღვევის ფაქტის გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, მომკვლევის/კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული ვადა შესაძლოა ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტის უფლება დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ქარწყლდება.

12.2. დისციპლინური კომისია შეისწავლის მოკვლევაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისთვის წარდგენილ მოკვლევის მასალებს და ნიშნავს მოსმენის დროსა და ადგილს.

12.3. მოსმენის შესახებ სტუდენტს ეცნობება მოსმენამდე 3 კალენდარული დღით ადრე ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 13. შეტყობინებები

13.1. რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი, საფოსტო მისამართი/ელექტრონული ფოსტა ჩაითვლება სტუდენტის ოფიციალურ საკონტაქტო ინფორმაციად და აღნიშნულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სტუდენტისათვის გაგზავნილ შეტყობინებად.

13.2. სტუდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის სიზუსტეზე. თუ სტუდენტის მიერ მითითებულია არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია, აღნიშნული არ იწვევს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას შეტყობინების არასწორ/არაზუსტ მისამართზე გაგზავნის შესახებ.

მუხლი 14. მასალების დაარქივება

14.1. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები წარმოების მიმდინარეობისას ინახება უფლებამოსილ პირთან. დისციპლინური დევნის საფუძველზე, სტუდენტისათვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, მასალები ეგზავნება საქმის წარმოების დეპარტამენტს, რომელიც ინახება უნივერსიტეტში მოქმედი „საქმისწარმოების წესით“ დადგენილი ვადით.

მუხლი 15. კონფიდენციალობა

15.1. დისციპლინური წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა. დისციპლინური წარმოების მონაწილე მხარეებისგან კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. საკითხები რომელიც არ წესრიგდება ამ დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შინაგანაწესით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით.

16.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

16.3. წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილება შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.

16.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სასწავლო დარგში პრორექტორი.